



ბრიტანეთის საელჩო  
თბილისი

დაუყოვნებლივ გამოქვეყნებისთვის  
15 მაისი, 2017

საკონტაქტო პირი: დიანა ჩაჩუა  
პროგრამის უფროსი ოფიცერი  
Tel: +995 577 779639  
E-mail: [dchachua@ndi.org](mailto:dchachua@ndi.org)

**NDI-ის კვლევა: ენთუზიაზმის ნაკლებობა ქვეყნის ლიდერების, ინსტიტუტებისა და პოლიტიკური პარტიების მიმართ; თუმცა მოსახლეობის ნახევარი მიიჩნევს, რომ საქართველო სწორი მიმართულებით ვითარდება**

თბილისი – ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და მისი პარტნიორი ორგანიზაცია CRRC საქართველოს მიერ წარმოდგენილი საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების თანახმად, ქვეყნის მიმართულებასთან დაკავშირებით მოსახლეობის აზრი გაყოფილია, თუმცა უმრავლესობა (72 პროცენტი) თანხმდება, რომ ქვეყანა ახლა საცხოვრებლად უკეთესი ადგილია, ვიდრე 15 წლის წინ. მოსახლეობა, ასევე, ოპტიმისტურად არის განწყობილი მომავლის მიმართ: 69 პროცენტი მიიჩნევს, რომ შემდეგი თაობა უკეთ იცხოვრებს.

საზოგადოების აზრი ორად არის გაყოფილი იმის თაობაზეც, ახორციელებს თუ არა არსებული ხელისუფლება მათთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს: ამ მოსაზრებას 50 პროცენტი ეთანხმება, 48 პროცენტი კი - არა. საერთო ჯამში, მოქალაქეები ქვეყნის პოლიტიკური ლიდერებისა და სამინისტროების საქმიანობას საშუალოდ აფასებენ, ხოლო პოზიტიური შეფასებების მაჩვენებელი დაბალია. პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის საქმიანობა იდენტურად და ყველაზე დადებითად არის შეფასებული: პრეზიდენტის საქმიანობას მოქალაქეთა 27 პროცენტი დადებითად აფასებს, ხოლო 50 პროცენტი - საშუალოდ; პრემიერ-მინისტრის საქმიანობას კი დადებითად - 25 პროცენტი, ხოლო საშუალოდ 53 პროცენტი აფასებს. პარლამენტის სპიკერის საქმიანობას დადებითად 15 პროცენტი, საშუალოდ კი 42 პროცენტი აფასებს. ჩამოთვლილთაგან ყველაზე მაღალი უარყოფითი შეფასების მაჩვენებელი თბილისის მერს აქვს: მოსახლეობის 52 პროცენტი მის საქმიანობას - უარყოფითად, 8 პროცენტი კი დადებითად აფასებს.

ჯანდაცვის, იუსტიციისა და თავდაცვის სამინისტროებს ყველაზე დადებითი შეფასებები აქვთ, ხოლო სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებს - ყველაზე უარყოფითი. რაც შეეხება დანარჩენ ინსტიტუტებს, მოსახლეობა ყველაზე დადებითად - ეკლესიის, იუსტიციის სახლებისა და საქართველოს ჯარის საქმიანობას, ყველაზე უარყოფითად კი თბილისის საკრებულოსა და პარლამენტის საქმიანობას აფასებს.

კონკრეტული პარტიების მხარდაჭერა კვლავაც საკმაოდ დაბალია. მოსახლეობის 42 პროცენტი ამბობს, რომ მის შეხედულებებთან არცერთი პარტია დგას ახლოს ან არ აქვს პასუხი ამ კითხვაზე. პარტია “ქართულ ოცნებას” ამომრჩეველთა 29 პროცენტი უჭერს მხარს. ეს რიცხვი შემცირებულია ნოემბრის კვლევის შემდეგ, სადაც მმართველ პარტიას მოქალაქეთა 40 პროცენტი ასახელებდა, როგორც თავის შეხედულებასთან ყველაზე ახლოს მდგომს “ქართულ ოცნებას” მოსდევს “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” 10-პროცენტის მხარდაჭერით, “პარტიოტა ალიანსი” - 4 პროცენტით და “ლეიბორისტული პარტია” - 3 პროცენტით. დანარჩენმა პოლიტიკურმა პარტიებმა კვლევის საშუალო ცდომილების ზღვარი ვერ გადალახეს.

“კვლევიდან ჩანს, რომ მოსახლეობა განსაკუთრებული ენთუზიაზმით არ არის განწყობილი ხელისუფლებისა და პოლიტიკური პარტიებისადმი. ამომრჩეველთა უმრავლესობა კვლავაც არ ემხრობა არცერთ პოლიტიკურ პარტიას,” - ამბობს NDI საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი ლორა თორნტონი, - “საყურადღებოა, რომ მოსახლეობა ყველაზე ნეგატიურად იმ საკითხებზე პასუხისმგებელ სამინისტროებს აფასებს, რომლებიც ყველაზე მეტად აწუხებს; ესენია: ეკონომიკის, ფინანსთა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები.”

რაც შეეხება შემოთავაზებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს, მოსახლეობის უმრავლესობა (84 პროცენტი) ფიქრობს, რომ პრეზიდენტი მოქალაქეებმა უნდა აირჩიონ. ამ მოსაზრებას “ქართული ოცნების” მხარდაჭერთა უმრავლესობაც ეთანხმება. ამას გარდა, მოსახლეობის თითქმის ნახევარს მაჟორიტარების არჩევა კვლავაც სურს. მოსახლეობის მხოლოდ 28 პროცენტი უჭერს მხარს მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას.

რაც შეეხება სხვა მიმდინარე მოვლენებს, მოსახლეობის უმეტესობას (79 პროცენტი) სმენია ტელეკომპანია “რუსთავი 2”-ის ქიზარ ხალვაშის საკუთრებაში გადაცემის შესახებ. ამ ადამიანების უმრავლესობა (56 პროცენტი) მიიჩნევს, რომ საქმეში მთავრობის მხრიდან ჩარევას ჰქონდა ადგილი და მხოლოდ 28 პროცენტი ამბობს, რომ სასამართლო პროცესი სამართლიანი იყო.

“საკონსტიტუციო ცვლილებების საჯარო განხილვების ფონზე, მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ მოსახლეობას სურს, თავად აირჩიოს თავისი წარმომადგენლები. პრეზიდენტის არაპირდაპირი გზით არჩევის წესის მხარდაჭერებს მოუწევთ, კარგად აუხსნან მოსახლეობას, თუ რა სარგებელს მოუტანს ეს მოქალაქეებს,” - განაცხადა თორნტონმა.

NDI იკვლევს საზოგადოებრივ აზრს, რათა დაეხმაროს დაინტერესებულ მხარეებს, გაიგონ და გადაჭრან მოქალაქეებისთვის პრობლემატური საკითხები ზუსტ, მიუკერძოებელ და სტატისტიკურად სწორ მონაცემებზე დაყრდნობით. კვლევის მიზანია, ხელი შეუწყოს ისეთი პოლიტიკისა და მმართველობის ჩამოყალიბებას, რომელიც უფრო მეტად იქნება მორგებული მოსახლეობის საჭიროებებზე. პოლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ კვლევიდან მიღებული ინფორმაცია ეხმარება მათ საქმიანობას და გამოთქვამენ სურვილს, კვლავაც გაგრძელდეს მსგავსი გამოკითხვები. აღნიშნული გამოკითხვა 2017 წლის 7-28 აპრილის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 2,493 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე, ქვეყნის ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობას შორის ჩატარდა (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით). კვლევაში საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/- 2,7 პროცენტი.

NDI-ის კვლევები ხორციელდება დიდი ბრიტანეთის მთავრობის UK aid-ის ფინანსური ხელშეწყობით და მას ატარებს CRRC საქართველო.

**-დასასრული-**

*NDI არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს დემოკრატებთან მსოფლიოს ყველა რეგიონში, რათა გააძლიეროს პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები, ხელი შეუწყოს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მთავრობის ანგარიშვალდებულებას. დამატებითი ინფორმაცია: [www.ndi.org](http://www.ndi.org)*

***CRRC საქართველო** არის არასამთავრობო, არაკომერციული კვლევითი ცენტრი, რომელიც აგროვებს, ანალიზებს და აქვეყნებს მონაცემებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ. ორგანიზაციის მიზანია საზოგადოებრივი მეცნიერებების კვლევებისა და საჯარო პოლიტიკის ანალიზის განვითარების ხელშეწყობა. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე:*

[www.crrc.ge](http://www.crrc.ge)